



## მიტროპოლიტი ილარიონი: სინმინდე - ეს არის მუდმივი სწრაფვა, მიზანო უფალ იესო ქრისტეს



2021 წლის 27 ივნისს, სულთმოფენობიდან პირველ კვირიაკეს, ყოველთა წმინდანთა დღეს, მოსკოვის საპატრიარქოს საგარეო საეკლესიო განყოფილების თავმჯდომარემ, წმინდა მოციქულთასწორთა კირილესა და მეთოდეს სახ. ზოგადსაეკლესიო ასპირანტურისა და დოქტორანტურის რექტორმა, ვოლოკოლამსკის მიტროპოლიტმა ილარიონმა ზსად-ს აკადემიურ ტაძარში – იოანე წინამორბედის თავისკვეთის ეკლესიაში, ჩერნიგოვის საპატრიარქო მეტოქში, ბორთან ახლოს, საღვთო ლიტურგია აღასრულა.

მღვდელთმთავარს თანამწირველობა გაუწიეს ზსად-ს დოქტორანტურის განყოფილების უფროსმა დეკანოზმა ალექსი მარჩენკომ, ზსად-ს პრორექტორმა სასწავლო ნაწილში მღვდელმონაზონმა პავლემ (ჩერკასოვი), მეტოქის კლირიკოსებმა.

მრჩობლ კვერექსზე აღვლენილ იქნა ლიცვითი ვედრება კორონოვირუსის ინფექციის გავრცელების საფრთხესთან დაკავშირებით.

მრჩობლი კვერქისის შემდეგ მიტროპოლიტმა ილარიონმა ლოცვა აღავლინა, რომელიც მავნებელი ჰაერის გავრცელების დროს იკითხება.

ლიტურგიის დასასრულს, მიტროპოლიტმა ილარიონმა ქადაგებაში ბრძანა:

„სახელითა მამისათა, და ძისათა, და სულის წმიდისათა!

სულთმოფენობის შემდგომ კვირიაკეს ეკლესია აღასრულებს ყოველთა წმინდანთა ხსენებას.

სულთმოფენობის დღესასწაულზე ჩვენ ვიხსენებდით, თუ როგორ გარდამოვიდა სულიწმიდა მოციქულებზე და მათ სხვადასხვა ენაზე დაიწყეს ლაპარაკი, და სხვადასხვა ეროვნების ხალხმა თავისი ენა იცნო. უსწავლელი გალილეველი მეთევზურნი ქრისტეს აღდგომის კადნიერ მქადაგებლებად იქცნენ.

დღეს კი, სულთმოფენობიდან პირველ კვირიაკეს, ჩვენ ვიხსენებთ, თუ როგორ განაგრძობდა სულიწმიდა ეკლესიაში მოქმედებას მისი ისტორიის მთელი ორიათასწლოვანი პერიოდის განმავლობაში. სულიწმიდა მაცხოვრის მონაფეებს მოეფინა და აღაფრთოვანა ისინი ჯვარცმულ და მკვდრეთით აღმდგარ ქრისტეს საქადაგებლად. შემდგომი საუკუნეების განმავლობაში კი, დღევანდელ დღემდე, სულიწმიდა მოქმედებდა, მოქმედებას განაგრძობს და მომავალშიც იმოქმედებს ეკლესიაში. მისი მოქმედებითა და ადამიანების თანამოქმედებით ეკლესიას არასდროს განუცდია და არც განიცდის წმინდანების ნაკლებობას.

წმინდანები ეკლესიაში ცხოვრობდნენ ძველ დროშიც და უახლოეს დროშიც. წმინდანები დღესაც ცხოვრობენ მინაზე, და სანამ მინაზე ქრისტეს ეკლესია დგას, ის ყოველთვის მოუვლენს სამყაროს წმინდანებს, რადგან სინმინდის იდეალი, რომელიც უფალ იესო ქრისტეს სახით იყო მოვლინებული, ჩვენს დროშიც ისევე აღაფრთოვანებს მორწმუნეთ, როგორც აღაფრთოვანებდა მისი მინიერი ცხოვრების დროს და მოციქულთა ეპოქაშიც.

ფარისევლებსა და მნიგობრებს ეგონათ, რომ სინმინდე ის არის, როცა ადამიანი უწმინდურს არაფერს ეკარება: იქნება ეს უწმინდური საჭმელი, უწმინდური ადამიანები თუ უწმინდური ადგილი. იმისათვის, რომ ადამიანს თავი დაეცვა რაიმე სახის ნაბილწვისგან, ცხოვრობდა მოსეს სჯულის მრავალრიცხოვანი განწესებითა და იმ ზეპირი გადმოცემით, რომელიც საუკუნეების მანძილზე წამოცმული იყო ამ წერილობით კანონზე. და აი, ეს არის, ფიქრობდნენ ფარისევლები, ადამიანის სინმინდე.

უფალი იესო ქრისტე კი, ამ ე.წ. სინმინდეში ორგულობას ხედავდა. იგი ამხელდა თავისი დროის მნიგობრებსა და ფარისევლებს იმისათვის, რომ ისინი გარეგნულად ღვთისმოსავებად და მართლებად გამოიყურებოდნენ, შინაგან კი მტაცებლობითა და უსამართლობით იყვნენ აღვსილნი.

ის სინმინდე, რომელიც უფალ იესო ქრისტეს სახით იყო მოვლინებული და რომელსაც საუკუნეებია

ავლენს ქრისტეს წმინდა ეკლესია, კარდინალურად განსხვავდება იმისგან, რასაც ფარისევლები და მწიგნობრები ქადაგებდნენ. ისინი გარეგნულ კეთილმსახურებას ქადაგებდნენ, უფალი კი ჩვენს ყურადღებას შინაგან კაცზე, მის გულზე მიაპყრობს. უფალი ამბობს, რომ შებილწვა ხდება არა იმის გამო, რომ რაღაც გარეგნულს ვეხებით, არამედ იმისგან, რომ ჩვენს გულში მწიფდება ბოროტი ზრახვები, სიძვა, მრუშობა, მტაცებლობა და ყოველგვარი სახის დანაშაული. სწორედ ეს ბილწავს ადამიანს შიგნიდან.

ქრისტიანი წმინდანები – ეს ის ადამიანები არიან, ვინც ყოველთვის არ გამოირჩეოდნენ გარეგანი კეთილმსახურებით. ზოგიერთი მათგანი გარეგნულად სრულიად შეუმჩნეველი, შეუხედავი და უნესოც კი ჩანდა, როგორც, მაგალითად, ზოგი სალოსი. მაგრამ ისინი ზრუნავდნენ გულის სიღრმეების განმენდაზე, რათა ყოველთვის ღმერთთან ყოფილიყვნენ. ისინი სულიწმიდის მადლს ეხსნებოდნენ, ის მათ ეფინებოდა და გარდამქმნელ და განმმედელ ზემოქმედებას ახდენდა მათზე. უპირველეს ყოვლისა, სწორედ სულიწმიდის მადლის წყალობით აღწევდნენ ისინი სინმინდეს.

საღვთო მადლის მოქმედებით სინმინდეს იხვეჭდნენ სხვადასხვა ეროვნების ადამიანები, სხვადასხვა ფენის ადამიანები – მდიდრებიც, ღარიბებიც, დიდგვაროვნებიც და დაბალი წრის წარმომდგენლებიც. მათ შორის იყვნენ მონაზვნებიც, ერისკაცებიც, დაქორწინებულებიც და დაუქორწინებლებიც, ხალხზე ძალაუფლების მქონენიც და ისინიც, ვისაც არანაირი ძალაუფლება არ გააჩნდა. თითოეული მათგანი თავის ადგლზე ავლენდა სინმინდის მაგალითს, და ეს არ იყო დამოკიდებული ეკლესიაში მათ სტატუსზე – რა ხარისხს ფლობდა, იყო ის პატრიარქი თუ უბრალო მონაზონი, მღვდელთმთავარი თუ უბრალო მღვდელი, იყო ეკლესიაში პატივცემული თუ მთელს ცხოვრებას შეუმჩნეველად ატარებდა.

ჩვენ ვიცით, რომ ბევრ წმინდანს ეკლესიაში პატივი მიეგება, როგორც ღვთის სათნომყოფელს. მათი ხსენება ყოველდღიურად აღესრულება ეკლესიაში, და მათი სახელები საეკლესიო კალენდარშია შეტანილი. მაგრამ საუკუნეების განმავლობაში ისეთი წმინდანებიც ბრწყინდებოდნენ, რომელთა შესახებაც, სხვადასხვა გარემოებათა გამო, ხალხმა არაფერი იცოდა: ან იმიტომ, რომ ღმერთისთვის არა იყო სათნო ადამიანებისთვის მათი ღვაწლის გაცხადება, ანაც იმიტომ, რომ გაურბოდნენ პატივს, ან კიდევ სხვა რამ მიზეზით. მაგალითად, ღირსი სილუანე ათონელი წმინდანთა დასში შეირაცხა იმის წყალობით, რომ მისი ცხოვრების შესახებ ცნობილი გახდა მისი მოწაფის – არქიმანდრიტ სოფრონისგან. მან მასზე წიგნი დაწერა, რომელიც საქვეყნოდ ცნობილი გახდა. ამ წიგნით დაიწყო ღირსი სილუანეს ავტორიტეტის აღზევება და საბოლოოდ საქმე მის კანონიზირებამდე მივიდა – ჯერ კონსტანტინეპოლის საპატრიარქოში, მერე კი რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიაშიც.

მაგრამ ბევრი სხვა მოღვაწეც იყო იმავე დროს ათონის მთაზეც და მის საზღვრებს გარეთაც, რომელთა შესახებაც მსოფლიოს არაფერი გაუგია. მათზე წიგნი არავის დაუწერია, მაგრამ ისინი გაბრწყინდნენ სათნოებათა ღვაწლით, თუმცა მათ შესახებ ძალიან ცოტა ვინმემ თუ იცოდა, ან საერთოდ არავინ იცოდა.

უფლისთვის ფასეულია ადამიანის ნებისმიერი სულიერი ღვაწლი. ხოლო ამის შესახებ სხვები გაიგებენ თუ არა, ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს. წმინდანი ის არ არის, ვინც იმისთვის შრომობს, რომ

წმინდანი გახდეს. იგი სულ სხვა საქმეებითაა დაკავებული: ზრუნავს საკუთარი გულისა და სულის ვნებებისგან, ცოდვილი აზრებისგან განმნდაზე; ლოცულობს თავისთვის და ახლობლებისთვის, ცოცხლებისა და მკვდრებისთვის. იგი ღვთის გუმონყალებას სასოებს და შეჰჰლადადებს, რომ უფალმა სულიწმინდა მოუვლინოს, რათა სულიწმინდამ ის შიგნიდან განმინდოს და გაანათლოს.

როდესაც ადამიანი სინამდის აღწევს, ის ამ დროს სრულებითაც არ მიიჩნევს თავს წმინდანად. იმიტომ, რომ დანყებული პავლე მოციქულიდან, რომელიც ამბობდა, რომ ქრისტე იესო მოვიდა ქვეყნად, რათა ეხსნა ცოდვილი, რომელთა შორისაც პირველი მე ვარ (1 ტიმ. 1:15), ყველა წმინდანი სწორედ ასე ხედავდა საკუთარ თავს. ისინი პირველ ცოდვილებად მიიჩნევდნენ საკუთარ თავს და ეს არ იყო პირფერული ან რიტორიკული აღიარება საკუთარი ცოდვებისა, არამედ სულიწმინდისგან ბოძებული შეგრძნება – რაც უფრო იწმინდება შინაგანი ადამიანი, მით უფრო ხედავს საკუთარ ნაკლოვანებებს, ცოდვებს და იმას, თუ რაოდენ შორს დგას სინამდის იდეალისგან, რომელიც იესო ქრისტეს ცოცხალი მაგალითით მოგვეცა.

სინამდის – ეს არის მუდმივი სწრაფვა, მიზანი იესო ქრისტეს. ეს არის ყოველდღიური, ყოველწამიერი, ყოველწუთიერი შრომა საკუთარ თავზე; სინამდის – ეს არის ადამიანის მზადყოფნა, გაჰყვეს ქრისტეს, სადაც ის წაიყვანს, თუნდაც ჯვარზე ასასვლელად, ჯვარზე საღვანოდ. სინამდის არ არის, რაც მხოლოდ ადამიანის ძალისხმევით მიიღწევა, არამედ, უპირველეს ყოვლისა, ღვთის მადლის საბოძარია.

ყოველთა წმინდანთა ხსენების დღეს, ვადიდოთ ღვთის სათნომყოფელნი, რომლებიც უფალმა თავის წმინდა ეკლესიას მოჰმადლა, საკუთარი ძალისამებრ მივბაძოთ მათ ღვანლს და შევთხოვოთ უფალს, რომ სულიწმინდის მადლი ჩვენც მოგვეფინოს, განგვმიდოს ყოველგვარი ბნისგან და ღირსგვეყოს ცათა სასუფეველის მკვიდრობისა. ამინ.

ყველას გილოცავთ დღესასწაულს! უფალი გფარავდეთ!“.

სსკგ-ს კომუნიკაციების სამსახური

სრულად ნახვა

გაზიარება:

---

წყარო: <https://mospat.ru/ge/news/87530/>